ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, ''სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობა ერთ სასწავლო წელზე განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს (სოფიო გაჩეჩილაძე);

3. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები დანართის თანხლებით მიაწოდოს აღრიცხვა-ანგარიშის და საფინანსო დეპატრტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს, უნივერსიტეტის სამდივნოს;

4. დაევალოს შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების საჯარო წესით გაცნობა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე

<u>დ ა ნ ა რ თ ი 1</u>

სწავლის საფასურის ოდენობა საფეხურების მიხედვით

საბაკალავრო პროგრამები:

2014/2015 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის - **2 250 ლარი;**

2014/2015 სასწავლო წელს აღდგენა/გადმოყვანის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის - **2 250 ლარი;**

2014/2015 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის - **4 500 ლარი;**

პროფესიული პროგრამები:

2014/2015 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის - **2 250 ლარი;**

2014/2015 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის - **4 500 ლარი;**

მაგისტრატურა:

2014/2015 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის - **2 250 ლარი;**

2014/2015 სასწავლო წელს აღდგენა/გადმოყვანის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის - **2 250 ლარი;**

2014/2015 სასწავლო წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის - **4 500 ლარი;**